ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2013309

ნომერი: AR1326150

თარიღი : 12.07.2015

გაცემის თარიღი : 15.07.2015

გაცნობის თარიღი : 15.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 54 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კასრაძე პ/ნ 01024011768
- ქიმძმარაულის 5

ორგანიზაცია:

- სს "ფუდმარტი" კოდი: 404460187

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი სახით სარეკონსტრიქციო სამუშაოების განხორციელება, თუმცა იმისათვის რომ გასცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1 მოთხოვნის ტექსტში დააფიქსირეთ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ ვის საკუთრებაის ფართს ემიჯნება კედელი რომელზეც ხორციელდება კონდინციონერის გარე აგრეგატის დამონტაჟება გაითვალისწინეთ თუ აღნიშნული ფართი არ არის თქვენი საკუთრება და ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის განვითარებაა, ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენი გექნებათ ფართის მესაკუთრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მისი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგეგმება ამხანაგობის საერთო საკუთრების განვითარება საჭირო იქნება ამხანაგობის წევრთა 2/3–ის ნახევარზე მეტის თანხმობის წარმოდგენა.
–ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში ან დამატებით ფაილის მიმაგრება ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი ) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3 (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 2/3-ზე მეტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.